საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ამირან ძაბუნიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი:

04.12.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„ 01 “ დეკემბერი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ამირან ძაბუნიძის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ ამირან ძაბუნიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36[3] მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით/36[4] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს''.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ **ამირან ძაბუნიძის** შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებულ ინფორმაციას, აგრეთვე კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების მქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ ამირან ძაბუნიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, **ამირან ძაბუნიძეს** პატიოსან, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერ, საქმისადმი ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობით, ობიექტურობით, დამოუკიდებლობით.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები კანდიდატს გაწონასწორებულ, დინჯ, ტაქტიან, კორექტულ პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ **ამირან ძაბუნიძის** მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს მაღალი პროფესიული გამოცდილება და ავტორიტეტი, როგორც სამართლის სისტემაში ისე მის გარეთ.
რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებენ.
ამირან ძაბუნიძის მიერ განხილული საქმეებიდან ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია პაპუაშვილი-ბლადაძის, ,,მერსედეს ცენტრის'' შესახებ. მედიას გაშუქებული აქვს მოსამართლეთა კონფერენციაზე ამირან ძაბუნიძის არჩევა სადისციპლინო კოლეგიის წევრად. იძებნება ადვოკატების ნაწილის შეფასებები მის საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა კანდიდატის პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის შემბღალავი რაიმე დადასტურებული ობიექტური ფაქტი ან გარემოება არ გამოვლენილა.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობით ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

*ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.*

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერის უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას დავეყრდენი უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე მიღებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის ცოდნის სათანადო დონე. სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიმართ დასმულ შეკითხვებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში პასუხები არ იყო ამომწურავი. კანდიდატმა სწორად განმარტა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე პირის სამუშაოზე აღდგენისა და მისთვის კომპენსაციის დაკისრების პროცედურა. ასევე ისაუბრა ცილისწამების არსზე, სწორად გამიჯნა საჯარო და კერძო პირის ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. ასევე ჩანს, რომ კანდიდატი იცნობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობებს და მათი სასამართლოში წარმომადგენლობის საკითხს.
გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას.
ამირან ძაბუნიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. მას გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით ირკვევა, რომ ამირან ძაბუნიძე სწავლებისას

მატერიალურ და საპროცესო სამართლის ნორმებს უმეტესწილად იყენებდა სწორად, უშვებდა შეცდომებს, თუმცა არა არსებითს.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N2ბ-6818-16. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების აღიარება. გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა მეტწილად იყო დამაჯერებელი. კანდიდატი აზრს ავითარებდა გამართულად, ლაკონურად, თანმიმდევრულად. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს აქვს ლოგიკური აზროვნების, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების ანალიზის უნარი.
კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. იგი თავდაპირველად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს სხვადასხვა რაიონულ სასამართლოებში. იგი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. კანდიდატი ასევე იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე, ამჟამად არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 19 ქულით.

3. წერის უნარი.

მოსამართლის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში მსჯელობა კარგად არის განვითარებული და გადაწყვეტილება დასაბუთებულია.
შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.
რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატი წერისას აზრს დამაჯერებლად და ნათლად გადმოსცემს.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით უმეტესწილად ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურასა და უნარ-ჩვევებს.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით „წერის უნარის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად, აზრს გადმოსცემს ლაკონურად და გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ რომ კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობის და ანალიზის უნარი, სხვისი აზრისა და განსხვავებული მოსაზრების მოსმენის უნარი.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატს შეუძლია საქმის გარემოებების ლოგიკურად და გასაგებად გადმოცემა.

ამდენად მივიჩნევ, რომ ამირან ძაბუნიძე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით „ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 13 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში.

რეკომენდაციების გაცნობისა და კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ **ამირან ძაბუნიძეს** აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. აქვს გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა. სასამართლო სხდომების სათანადოდ წარმართავს. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული. შეუძლია სტრესულ გარემოში მუშაობა და აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები.

აღსანიშნავია, კანდიდატის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია ჯეროვნად. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა,

რომ ამირან ძაბუნიძეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა -36,2%; ვადის დარღვევით-63,8%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 52,6% მომზადდა ვადის დაცვით, ვადის დარღვევით -47,4%; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 89,9%, ხოლო შეცვალა 10,1%.

საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 730 საქმე, დღეში საშუალოდ 0.8 საქმემდე.

სტატისტიკის თანახმად, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას ვადები დარღვეულია, რაც განპირობებულია მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა დიდი ნაკადით.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

ამირან ძაბუნიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ადმინისტრაციული, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; წარმატებით აქვს გავლილი სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსი.
კანდიდატი იმყოფებოდა სასწავლო ვიზიტით აშშ ქ. ვაშინგტონი და ქ. სან-ფრანცისკო.
კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.
გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ამირან ძაბუნიძე** აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში; საკორპორაციო/სამეწარმეო სამართალი; „ინტელექტუალური საკუთრების სამართლის აქტუალური საკითხები; საკორპორაციო/სამეწარმეო სამართალი; ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი; საარბიტრაჟო წარმოება; გადაწყვეტილებები

ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეებზე; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ნარკომომხმარებელთა უფლებები და სხვა.
2016 წელს ამირან ძაბუნიძე მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.
კანდიდატი იყო საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ,,პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატი ამირან ძაბუნიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 92 ქულა.

ხელმოწერა: **ბადრი შონია**